

## ხელშეკრულება

ქ. თბილისი

\_\_\_\_\_ სექტემბერი, 2022წ.

ერთი მხრივ, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“ ს/კ 400028849 (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი მისი რექტორის მ/შემსრულებლის, კახაბერ ლაზარაშვილის, სახით და, მეორე მხრივ, \_\_\_\_\_ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

(შემდგომში სტუდენტი) თანხმდებიან და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: სტუდენტი 2022-2023 სასწავლო წელს ჩაირიცხა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის (მიმართულება: \_\_\_\_\_)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამა).

### 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პირობების შექმნა და შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა, სტუდენტის მხრიდან ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესით უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურების მიღება, სწავლის საფასურის ოდენობა და გადახდის პირობები.

### 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

#### 2.1 სტუდენტი უფლებამოსილია:

- ა) მიიღოს უნივერსიტეტისგან საგანმანათლებლო მომსახურება და ხარისხიანი განათლება;
- ბ) ისარგებლოს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით;
- გ) მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში;
- დ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- ე) მიიღოს უნივერსიტეტისგან სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად;
- ვ) დააფუძნოს ან გაწევრიანდეს უნივერსიტეტის სტუდენტურ ორგანიზაციებში/კლუბებში/და სხვა;
- ზ) პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პროგრამების, სასწავლო პროცესის, აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვა სერვისები;

- თ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- ი) მიიღოს მისთვის საჭირო ყველა სახის ინფორმაცია უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კ) განახორციელოს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

## 2.2 სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები;
- ბ) დაიცვას უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი, უნივერსიტეტის დებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები; მუდმივად ეცნობოდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებულ იმ სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეხება სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული სამართლებრივი აქტები წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. სტუდენტი ხელშეკრულების ხელმოწერისას ადასტურებს, რომ იცნობს მათს შინაარსს და ეთანხმება. სტუდენტს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმების დარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით;
- გ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში და წესით გაიაროს ადმინისტრაციული (გადაიხადოს სწავლის საფასური) და აკადემიური რეგისტრაცია.
- დ) ისწავლოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამისი პროგრამის მოთხოვნების დაცვით, შეასრულოს აკადემიური პროგრამით და მისი კომპონენტებით გათვალისწინებული პირობები.
- ე) უზრუნველყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანის გამო სტუდენტს დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- ვ) არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე/პლაგიატი.
- ზ) სრულად გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური უნივერსიტეტის მიერ გაწეული სემესტრული მომსახურების მიხედვით.
- თ) წარუდგინოს უნივერსიტეტს უტყუარი ინფორმაცია, პირადი და საკონტაქტო მონაცემები, ასევე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი. ამასთანავე, ცვლილების შემთხვევაში აცნობოს უნივერსიტეტს/განაახლოს პირადი ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ უარყოფით შედეგებზე;

ი) მუდმივად ეცნობოდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და სასწავლო ბაზაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს.

### 2.3 უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

- ა) მოითხოვოს სტუდენტისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და მისი პირობების განუხრელი დაცვა;
- ბ) მოსთხოვოს სტუდენტს უნივერსიტეტის დებულების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის და სხვა სამართლებრივი აქტების დაცვა და შესრულება;
- გ) დაგეგმოს სასწავლო პროცესი და დაადგინოს უნივერსიტეტის აკადემიური კალენდარი;
- დ) განსაზღვროს სტუდენტის სასწავლო საქმიანობის, ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ორგანიზების სხვა წესები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ე) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება;

### 2.4 უნივერსიტეტი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს სტუდენტი სწავლების სათანადო პირობებით, სასწავლო ბაზის სათანადო ტექნიკური აღჭურვილობით, უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და სანიტარული ნორმების შესაბამისად;
- ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების შეუფერხებლად რეალიზებაში;
- გ) იზრუნოს საუნივერსიტეტო აკადემიური გარემოს განვითარებაზე;
- დ) უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის სამართლიანი შეფასება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების, საგანმანათლებლო პროგრამითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;
- ე) მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა, დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- ვ) მიაწოდოს სტუდენტს ამომწურავი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ;
- ზ) გამოაქვეყნოს უნივერსიტეტის დებულება, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთანავე, აღნიშნულ აქტებში ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უზრუნველყოს სტუდენტებისთვის მათი გაცნობა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ან/და უნივერსიტეტის შენობაში საჯარო ადგილას, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნების გზით;

თ) საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსის დასრულების შემთხვევაში მიანიჭოს კურსდამთავრებულს მიღებული განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია და გადასცეს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

### 3. სწავლის საფასური და მისი გადახდის წესი

- 3.1. სწავლების წლიური საფასური შეადგენს 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ვადის განმავლობაში. სასწავლო მომსახურების წლიური ღირებულება მოიცავს სტუდენტის მიერ ერთ აკადემიურ წელს ორი სასწავლო სემესტრის განმავლობაში 60 კრედიტის გავლის შესაძლებლობას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
- 3.2. სტუდენტი ფლობს სახელმწიფო სასწავლო გრანტს \_\_\_\_\_ % ოდენობით.
- 3.3. სტუდენტი ფლობს **შიდა საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტს** სწავლის საფასურის 20%-ის ოდენობით.
- 3.4. სტუდენტი, რომელიც ფლობს სახელმწიფო სასწავლო გრანტს სწავლის საფასურს იხდის სასწავლო გრანტის ოდენობისა და დადგენილი სწავლის საფასურს შორის სხვაობის გათვალისწინებით.
- 3.5. სტუდენტი ვალდებულია, 3.1 პუნქტში გათვალისწინებული სტანდარტული აკადემიური დატვირთვის ზემოთ დამატებითი კრედიტის რეგისტრაციის შემთხვევაში, დამატებით გადაიხადოს საგანმანათლებლო მომსახურების (დამატებითი კრედიტის) საფასური. დამატებითი კრედიტის ღირებულება განისაზღვრება სწავლის წლიური საფასურისა და სტუდენტის სურვილით გასავლელი სასწავლო დისციპლინების კრედიტების რაოდენობის პროპორციულად, ხოლო დამატებითი სემესტრის შემთხვევაში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით იმ წელს დადგენილი ტარიფით.
- 3.6. სასწავლო კურსის დამატებით კრედიტად ხელახლა გავლის შემთხვევაში მოქმედებს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი დამატებითი კრედიტის საშელავათო საფასური.
- 3.7. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი ვადის ამოწურვის შემდეგ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება მიმდინარე წელს დადგენილი ტარიფით.
- 3.8. სტუდენტი ვალდებულია, წელიწადში ორჯერ, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილი ვადებში, გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური, რომელიც შეადგენს წლიური სწავლის საფასურის ნახევარს 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარს და ისარგებლოს ამავე აქტით დადგენილი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისათვის საჭირო სწავლის საფასურის გადახდის პირობებით.
- 3.9. მხარეები უფლებამოსილნი არიან, შეთანხმდნენ სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებულ გრაფიკზე. ამისათვის სტუდენტმა ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში

უნდა მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და გააფორმოს შეთანხმება, რომელიც ხელმოწერის მომენტიდან ხდება წინამდებარე ხელშეკრულების დამატება.

- 3.10. სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში სწავლის განსაზღვრული საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტს არ მიეცემა აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლება;
- 3.11. თუ სტუდენტი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ არ მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესში, იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.
- 3.12. სტუდენტი ვალდებულია, არ დაარღვიოს მასთან გაფორმებული დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი, დარღვევის შემთხვევაში, ამოქმედდება დამატებით შეთანხმებაში მითითებული პირობები.
- 3.13. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მოიპოვებს სახელმწიფო დაფინანსებას სახელმწიფო-სასწავლო, სოციალური ან სხვა პროგრამით გაცემული გრანტის ფარგლებში, სტუდენტი ვალდებულია, გრანტით დაფინანსების ინფორმაციის უნივერსიტეტისთვის წარდგენამდე გადაიხადოს სემესტრული სწავლის საფასურის პირველი ნაწილი, რომელიც გრანტით დაფინანსების ოფიციალური წესით წარმოდგენის შემდეგ შესაბამისი სხვაობით დაუბრუნდება უკან.

#### **4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა**

- 4.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის პირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
- 4.2. პირადი განცხადების საფუძველზე სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს ოთხი კვირის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი სარგებლობს გადახდილი საფასურის მომდევნო სემესტრში გამოყენების უფლებით.
- 4.3. სასწავლო პროცესის დაწყებიდან 4 (ოთხი) კვირის გავლის შემდეგ სტუდენტი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და გადახდილი სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას, გარდა ჯანმრთელობის გაუარესების ისეთი მძიმე შემთხვევისა, რის გამოც სტუდენტი ვერ შეძლებს უნივერსიტეტის მხრიდან გაწეული მომსახურების მიღებას.
- 4.4. სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობებისგან სტუდენტის სტატუსის შეჩერების დღიდან, მხარეებს ეკისრებათ სტუდენტის სტატუსის შეჩერებამდე წარმოშობილი

ვალდებულებების შესრულება. სტუდენტის სტატუსის აღდგენისას ძალაში შედის მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობანი.

4.5. სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან სრულად შეასრულონ სტატუსის შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები.

## **5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები**

- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე.
- 5.2. წინამდებარე ხელშეკრულება წყდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულების დადებისას.
- 5.3. სტუდენტის ინიციატივით აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ის მოვალეა, წერილობით აცნობოს ამის თაობაზე უნივერსიტეტს, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტს არ დაუბრუნდება გადახდილი თანხა.
- 5.4. უნივერსიტეტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი უხეშად დაარღვევს აღნიშნულ ხელშეკრულებას და უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს, შინაგანაწესსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს.

## **6. დავათა გადაწყვეტის წესი**

- 6.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
- 6.2. თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული დავა ვერ გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით, მაშინ დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **7. სხვა პირობები**

- 7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიძლება შევიდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი უნდა იყოს ორივე მხარის მიერ.
- 7.2. წინამდებარე ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

8. მხარეთა რეკვიზიტები

შპს აღმოსავლეთ ევროპის  
უნივერსიტეტის (EEU)

რექტორის მ/შემსრულებელი

კახაბერ ლაზარაშვილი

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა )

სტუდენტი

სახელი, გვარი

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

მისამართი: \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

ტელეფონი: \_\_\_\_\_

ელ-ფოსტა: \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_  
(ხელმოწერა )